

შპს რესტექიმპექს ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11
8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021 (გადაანგარიშებული)	31-12-2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,371,158	984,941	-
სავაჭრო მოთხოვნები	5	12,168,987	10,228,524	11,474,380
გადახდილი ავანსები		-	2,123	-
მარაგები		-	-	172,755
სულ აქტივები		13,540,145	11,215,588	11,647,135

ვალდებულებები და კაპიტალი**მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები	6	10,840,564	7,846,445	8,185,890
სულ ვალდებულებები		10,840,564	7,846,445	8,185,890

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება		2,699,581	3,369,143	3,461,245
სულ საკუთარი კაპიტალი		2,699,581	3,369,143	3,461,245

სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,540,145	11,215,588	11,647,135
--------------------------------------	--	-------------------	-------------------	-------------------

დირექტორი 

სოფიო ჩადუნელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021 (გადაანგარიშებული)	31-12-2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,371,158	984,941	-
სავაჭრო მოთხოვნები	5	12,168,987	10,228,524	11,474,380
გადახდილი ავანსები		-	2,123	-
მარაგები		-	-	172,755
სულ აქტივები		13,540,145	11,215,588	11,647,135
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	10,840,564	7,846,445	8,185,890
სულ ვალდებულებები		10,840,564	7,846,445	8,185,890
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2,699,581	3,369,143	3,461,245
სულ საკუთარი კაპიტალი		2,699,581	3,369,143	3,461,245
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,540,145	11,215,588	11,647,135

დირექტორი -----

სოფიო ჩადუნელი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	10,038,272	9,222,767
რეალიზებული პროდუქციის	7	(10,185,250)	(9,064,276)
თვითღირებულება			
საერთო (ზარალი)/მოგება		(146,978)	158,491
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(512,823)	(32,148)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(659,801)	126,343
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(9,761)	(218,445)
ზარალი დაბეგვრამდე		(669,562)	(92,102)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(669,562)	(92,102)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	3,461,245	3,461,245
<i>(გადაანგარიშებული)</i>		
წმინდა ზარალი	(92,102)	(92,102)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	3,369,143	3,369,143
<i>(გადაანგარიშებული)</i>		
წმინდა ზარალი	(669,562)	(669,562)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	2,699,581	2,699,581

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რესტექიმპექს დაფუძნდა 2019 წლის 07 ივნისს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქ., N 264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 412746729. კომპანიის 100%-ის მფლობელია ოლეგ ნემცევი (75 6156438 რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების ობიექტებისთვის საჭირო ტექნიკისა და დანადგარების ექსპორტი და იმპორტი. კომპანიას მართავს დირექტორი - სოფიო ჩადუნელი 01011031368.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.


2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით.

შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	9,222,767	7,511,890
რეალიზებული პროდუქციის	8	(9,064,276)	(7,091,142)
თვითღირებულება			
საერთო მოგება		158,491	420,748
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(32,148)	-
საოპერაციო მოგება		126,343	420,748
მოგება საკუროსო სხვაობიდან		187,276	403,213
მოგება დაბეგვრამდე		313,619	823,961
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		313,619	823,961

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გადაანგარიშებამდე)



	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი	2,637,284	2,637,284
წმინდა მოგება	823,961	823,961
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	3,461,245	3,461,245
წმინდა მოგება	313,619	313,619
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	3,774,864	3,774,864

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	984,941	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	6	10,228,524	11,474,380	2,857,929
გადახდილი ავანსები		2,123	-	-
მარაგები		-	172,755	1,154,686
სულ აქტივები		11,215,588	11,647,135	4,012,615
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	7,440,724	8,185,890	1,375,331
სულ ვალდებულებები		7,440,724	8,185,890	1,375,331
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,774,864	3,461,245	2,637,284
სულ საკუთარი კაპიტალი		3,774,864	3,461,245	2,637,284
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,215,588	11,647,135	4,012,615

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ახორციელებს პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შემენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია

შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, საკონსულტაციო, ტრანსპორტირებისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022	31-12-2021
ლარში განთავსებული	2	16
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	1,371,156	984,925
სულ	1,371,158	984,941

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიყიდა პროდუქცია და რომელთაგანაც პროდუქციის თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 და 2021 წლების ბოლოს კომპანიას ჰყავდა მხოლოდ ერთი დებიტორი, არარეზიდენტი კომპანია, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა კვების ტექნიკითა და დანადგარებით საბითუმო ვაჭრობა, რომლის დავალიანება 31.12.2022წ. მდგომარეობით შეადგენდა 12,168,987 ლარს, ხოლო 31.12.2021წ. მდგომარეობით - 10,228,524 ლარს.

6. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
კვების ტექნიკის/დანადგარების მომწოდებელი	10,784,169	7,845,515
სხვა მომწოდებლები	56,395	930
სულ	10,840,564	7,846,445

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის ექსპორტის შედეგად პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. 2022 და 2021 წლებში კომპანია გაყიდვებს ახორციელებდა მხოლოდ ერთ არარეზიდენტ იურიდიულ პირზე, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა კვების ტექნიკითა და დანადგარებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანია პროდუქციას ყიდულობს იმპორტის გზით. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად. 2022 და 2021 წლებში კომპანია შესყიდვებს ახორციელებდა მხოლოდ ერთი არარეზიდენტი იურიდიული პირისგან.

8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 და 2021 წლებში კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის არ მომხდარა კომპენსაციის გაცემა მენეჯმენტზე.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.